



ხელშეკრულება № 321

635

15 თებერვალი 2019

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია, წარმოდგენილი ნიმუშების რეგისტრაციის და სტატისტიკური დამუშავების განყოფილების უფროსის მარინე სოსელიას სახით (შემდგომში "ლაბორატორია") ერთის მხრივ და მეორეს მხრივ იურდიული პირი (შემდგომში "დამკვეთი"), ა.ა.ი.პ. სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრი (ს/კ: 204873618, თამარ გობეჯიშვილი), ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი.

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ლაბორატორიის მიერ საგამოცდო მასალის ლაბორატორიული გამოცდა;

1.2. საგამოცდო მასალის დასახელება:

რძეშეკრულება - ხაჭო, (1 ნიმუში) - რძის ცხიმის სისუფთავის განსაზღვრა რძესა და რძის პროდუქტებში

2. ხელშეკრულების ღირებულება.

2.1. გასაწევი მომსახურების ღირებულება შეადგენს 70.00 ლარს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

2.1.1. ერთეულის მიხედვით ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრება ლაბორატორიაში ხელშეკრულების გაფორმების ეტაპზე მოქმედი მომსახურების ტარიფების შესაბამისად და შეადგენს:

რძის ცხიმის სისუფთავის განსაზღვრა რძესა და რძის პროდუქტებში - 70.00 - ლარი (გაზური ქრომატოგრაფია)

3. ხელშეკრულების პირობები.

3.1. ლაბორატორია ვალდებულია: 1. ხელშეკრულების გაფორმებიდან 7 დღის ვადაში გამოიკვილოს წარმოდგენილი საგამოცდო მასალა და გასცეს შესაბამისი დასკვნა;

3.2. ლაბორატორია პასუხისმგებელია მხოლოდ ლაბორატორიაში გამოსაცდელად შემოსული ნიმუშის გამოცდის შედეგის სისწორეზე.

3.3. დამკვეთი ვალდებულია კვლევის დასრულებამდე გადაიხადოს საფასური და ლაბორატორიაში წარმოდგინოს თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი. თანხის გადახდა უნდა განხორციელდეს შემდეგ რეკვიზიტებზე: მიმღების დასახელება: ბანკი: ხაზინის ერთიანი ანგარიში, კოდი TRESGE 22, სახაზინო კოდი #707527102 - სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის მიერ გაწეული მომსახურების საფასური);

3.4. ორგანიზაციების მიერ, რომლებზეც ვრცელდება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონი, ანგარიშსწორება განხორციელდება შემდგომი გადახდის წესით, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 საბანკო დღის ვადაში.

3.5. ლაბორატორიული გამოცდის საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში ლაბორატორია იტოვებს უფლებას მიმართოს სასამართლო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ან/და მომავალში არ მიიღოს გამოსაცდელად იმავე ფიზიკური ან იურდიული პირის მიერ წარმოდგენილი ნიმუში.

4. ნიმუშის შენახვის ვადები და პირობები:

4.1. დამკვეთის მიერ წარმოდგენილი საკვლევი ნიმუშის ლაბორატორიაში შენახვის ვადები გაწერილია ლაბორატორიაში მოქმედი სტანდარტული ოპერაციული პროცედურებით: სოპ N305-2016 G, სოპ N162-2016 G, სოპ N354-216-G.

4.2. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული განსაკუთრებით მალეუჭვებადი პროდუქციის ნიმუშებისა და განსაკუთრებით საშიში დაავადების შემცველი ნიმუშების განადგურება ხდება გამოცდის ოქმის გაცემის შემდეგ.

5. ხელშეკრულების მოქმედების ვადები.

5.1. ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის თარიღიდან გამოცდის დასრულებამდე.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია
საიდენტიფიკაციო კოდი - 205162802
ლაბორატორიის სახელით:

დამკვეთის რეკვიზიტები:
მის.: ქ. თბილისი ვაკე-საბურთალოს რაიონი - დელისის 1
შესახვევი 3 5ა
ტელ.: 555586887
საიდენტ.კოდი: 204873618

(ხელმოწერა)

(ხელმოწერა)